შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული მომზადების პროგრამა

პარაფარმაციის კონსულტანტი

თბილისი
2022

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: პარაფარმაციის კონსულტანტი
პროგრამის სახე: ☒ **პროფესიული მომზადება** ☐ **პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ **2** ☐ **3** ☒ **4** ☐ **5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი: **26-38 საათი**
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური :** 10 **მაქსიმალური:** 25 ერთდროულად შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება, 50 მსმენელი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ: პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევისა და რეალიზაციის პროცესში მონაწილეობას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებლისთვის კონსულტირებას, პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას, განთავსებას და ნაშთების პერიოდულ კონტროლს.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით): კურსდამთავრებულს შეუძლია: 1. პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღება, სავაჭრო დარბაზში განთავსება და ნაშთის პერიოდული კონტროლი; 2. მომხმარებელთან ეფექტური და პოზიტიური კომუნიკაციის დამყარება; 3. კანის და მისი დანამატების სტრუქტურის, ტიპების, მახასიათებლების, პათოლოგიების დახასიათება;

4. სხვადასხვა მწარმოებლების პარაფარმაცევტული საშუალებების და მათი შემადგენელი ნივთიერებების დახასიათება;
5. მომხმარებლისთვის ბავშვთა, ორსულთა და მეძუძურ დედათა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა, მიწოდება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტირება;
6. მომხმარებლისთვის თავის მოვლის საშუალებების, სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა, მიწოდება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტირება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262,2263, 3213

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი (ISCED) ვიწრო სფერო - 101

პროგრამის საჭიროების დასაბუთება

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს/განაახლოს თეორიული ცოდნა /პრაქტიკული უნარები პარაფარმაციის კონსულტანტის მიმართულებით.

პროგრამის მოცულობა 431 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 189 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 232 საათი, შეფასებას - 10 საათი. პროგრამა განხორციელდება 12 კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა 26-38 საათი. თეორიული კომპონენტი განხორციელდება - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA- ში , აგრეთვე შესაძლებელია დისტანციურად განხორციელება, ხოლო პრაქტიკული - პრაქტიკის ობიექტზე, შპს პსპ ფარმას საფთიაქო ქსელში.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, სერტიფიკატის დანართს და შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს ფარმაცევტულს დაწესებულებებში (აფთიაქებში), მაღაზიებში/მარკეტებში პარაფარმაციის, პარფიუმერიის, ბავშვთა კვების, ბავშვთა მოვლის საშუალებების სექციებში, წარმომადგენლად ქსელური მარკეტინგის კომპანიებში (Avon, Faberlic, Oriflame და სხვა).